

## მენაშენეებისგან ბინების შესყიდვის პროექტი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დევნილი ოჯახების განსახლების მიზნით, მენაშენეებისგან ბინებს შეისყიდის.

ახალაშენებული და მშენებარე კორპუსებში საცხოვრებელი ფართების შესყიდვა, კონკურსის წესით, ღიად და გამჭვირვალედ ხდება.

კერძო პირებისგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვის წესის განმახორციელებელი კომისია წინასწარ განსაზღვრავს კონკურსის ვადებსა და კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკურსში მონაწილე მენაშენეები უნდა აკმაყოფილებდნენ.

სამინისტრო, მენაშენეების პროექტის ფარგლებში, არსებული მოთხოვნის გათვალისწინებთ, ბინებს შეისყიდის როგორც თბილისში, ისე რეგიონებში.

მენაშენეების პროექტის ფარგლებში ახალაშენებულ და მშენებარე კორპუსებში შესყიდული 1600-ზე მეტი ბინა დევნილ ოჯახებს ეტაპობრივად გადაეცემათ:

- ✓ თბილისი - შესყიდულია 1300-ზე მეტი ბინა;
- ✓ ქუთაისი - შესყიდულია 245 ბინა;
- ✓ გორი - შესყიდულია 38 ბინა;
- ✓ ხაშური - შესყიდულია 25 ბინა;
- ✓ მარნეული - შესყიდულია 20 ბინა.